GEA Association Employers Georgian

ივნისი, 2016

NEWSLETTER

ტრენინგი "ცხოვრების მანძილზე სწავლა" 2

შრომის ინსპექციის ტრენინგი 3

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) რიგით 105-ე შრომის საერთაშორისო კონფერენცია 4

ვორქშოპი - შრომის ბაზრის მონიტორინგი საქართველოში 5

ბიზნეს გაერთიანება GEA-ს შეხვედრა გორში 6

საქართველო-გერმანიის ბიზნეს ფორუმი 6

ვორქშოპი - ერთიანი ბიზნეს სივრცის შექმნა 7

AIR-SUN GEORGIA 8

GEA-ს ტრენინგ ცენტრი 8

ბრიფინგი - ეკონომიკური ფორუმის შეფასება 9

NIGHT FIGHT CLUB - მემორანდუმი 10

საინფორმაცი-საკონსულტაციო შეხვედრა 11

ბიზნეს გაერთიანება GEA
ა. ბელიაშვილის ქ. #8, თბილისი, საქართველო
ტელ.: +995 32 2 14 73 73, +995 579 55 55 51
ელ-ფოსტა: employer@employer.ge

ტრენინგი "ცხოვრების მანძილზე სწავლა"

3 ივნისს ბიზნეს გაერთიანება „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის“ (GEA) ორგანიზებითა და ევროკავშირისა და გაეროს განვითარების ფონდის (UNDP) ხელშეწყობით გაიმართა ტრენინგი თემაზე რა არის „ცხოვრების მანძილზე სწავლა“ და როგორ შეიძლება ამ კონცეფციის დანერგვა საქართველოში?

ტრენინგზე განიხილეს რა უპირატესობა აქვს უფროსებისათვის განკუთვნილ სწავლებას, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია მრავალფეროვანი და მოქნილი განათლებისა და უნარების მიღება? ამ საკითხების განხილვაში ჩართულნი იყვნენ მთავრობის, პარლამენტის, ბიზნესისა და პროფესიული ასოციაციების წარმომადგენლები.

ტრენინგი გაიმართა პროექტის ფარგლებში, რომლის მიზანია პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემის თანხვედრაში მოყვანა საქართველოს დასაქმების ბაზრის მოთხოვნებთან და განათლების მიღების დამატებითი შესაძლებლობების შექმნა ზრდასრული მოსახლეობისათვის.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია, ახორციელებს რამდენიმე პროექტს არაფორმალური და პროფესიული განათლების მიმართულებით.

შრომის ინსპექციის ტრენინგი

მიმდინარე წლის 9 და 10 ივნისს ბიზნეს გაერთიანება GEA-ს საკონფერენციო დარბაზში ევროკავშრის მხარდაჭერი გაიმართა ტრენინგი ჯანდაცვის სამინისტროს შრომის ინსპექტორებისათვის, რომელიც წარმოადგენდა „დასაქმებისა და პროფესიული განათლების რეფორმების ტექნიკური დახმარების პროექტის“ ნაწილს.
ტრენინგს უძღვებოდა შრომის სამართლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების ექსპერტი ივან მაიერი.
ტრენინგზე განიხილებოდა შემდეგი საკითხები:

- პრეცენციის პრინციპები - ევროკავშირის მიდგომა პროფესიული უსაფრთხოებისა და ჯანრმთელობის საკითხებისადმი;
- ევროკავშირის კანონმდებლობის სტუქტურა და პრინციპები დასაქმებისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების ფარგლებში;
- პერსონალური დამცავი საშუალებების შესახებ 89/656/EEC დირექტივის პრინციპები;
- გაცნობითი შეხვედრა ევროკავშირის დირექტივების ტრანსპოზიციაზე 90/2690EEC (ტვირთის ფიზიკური ძალით გადაზიდვა - კარგი პრაქტიკის პრინციპები).

ბიზნეს გაერთიანება GEA აქტიურად თანამშრომლობს შრომის ინსპექტირების სამსახურთან, რაც თავის მხრივ საშუალებას აძლევს უშუამდგომლოს წევრ და პარტნიორ კომპანიებს ინსპექტირების სავალდებულო პროცედურების გავლაში.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) რიგით 105-ე შრომის საერთაშორისო კონფერენცია

ბიზნეს გაერთიანება GEA-ს პრეზიდენტი ბ-ნი ელგუჯა მელაძე საქართველოს მხრიდან დამსაქმებელთა დელეგატის სტატუსით ესწრებოდა 105-ე შრომის საერთაშორისო კონფერენციას ჟენევაში.

ორკვირიან დახურული კონფერენციებზე განიხილავდნენ ისეთ საკითხებს, როგორებიცაა ღირსეული შრომა გლობალური მიწოდების ჯაჭვში, საზღვაო შრომის საკითხები და ძირითადი შრომითი უფლებები.

გარდა ამისა, ასოციაციის პრეზიდენტმა გამართა საქმიანი შეხვედრები შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) სხვადასხვა დეპარტამენტებთან.

აღსანიშნავია, რომ კონფერენციაზე საქართველოდან მივლინებულ დელეგაციაში წარმოდგენილი იყო სამი მხარე - პროფკავშირები, მთავრობა და დამსაქმებლები

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) მიერ ორგანიზებულ ყოველწლიურ კონფერენციაში 2016 წელს 187 ქვეყნიდან წარმოდგენილი 6000-მდე დელეგატი იღებდა მონაწილეობას.

ვორქშოპი - შრომის ბაზრის მონიტორინგი საქართველოში

13 ივნისს ბიზნეს გაერთიანება GEA-ს ორგანიზებით გაიმართა ვოქრშოპი ქართულ-გერმანული პროექტის - „შრომის ბაზრის მონიტორინგი საქართველოში“, ფარგლებში.

ღონისძიების მიზანს წარმოადგენდა მრგვალი მაგიდის პრინციპით შრომის ბაზრის მონიტორინგის სისტემების გერმანული მაგალითისა და ქართული პერსპექტივების განხილვა.

ვორქშოპს ესწრებოდნენ პროექტის გუნდი, GEA-ს წევრი და პარტნიორი კომპანიები, უცხოელი და ადგილობრივი ექსპერტები, ჯანდაცვის სამინისტრო და კოლეჯები.

იმ პროექტის, რომლის ფარგლებშიც გაიმართა აღნიშნული ვორქშოპი, მიზანია საქართველოში კვალიფიციური კადრების ნაკლებობის პრობლმის აღმოფხვრა. სწორედ, პროექტის მიზნებისა შესაბამისად გერმანიიდან მოწვეულმა ექსპერტმა ბ-ნმა ტრეპტემ წარადგინა პრეზენტაცია თემაზე „გერმანული გამოცდილება სამუშაო ძალის მოთხოვნა-მიწოდების სისტემის შესახებ“.

შეხვედრა დიალოგის რეჟიმში წარიმართა და სხვადასხვა მხარემ წარმოადგინა მოსაზრებები მოთხოვნა-მიწოდების პრობლემის მოგვარების შესახებ.

მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული პროექტი სამწლიანია და ხორციელდება ბიზნეს გაერთიანება GEA-ს და ჩრდილოეთ გერმანიის დამსაქმებელთა ასოციაციის მიერ.

ბიზნეს გაერთიანება GEA-ს შეხვედრა გორში

ბიზნეს გაერთიანება "საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციამ" (GEA) გორის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გამართა პროექტის პრეზენტაცია, რომელიც მიზნად ისახავს ბიზნესის ხელშეწყობას კვალიფიციური კადრების მიწოდების საშუალებით.

შეხვედრას ესწრებოდნენ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, კერძო სექტორისა და პროფესიული სასწავლებლების წარმომადგენლები.

პროექტი ხორციელდება ასოციაციის გერმანელ პარტნიორებთან ერთად.

აქართველო-გერმანიის ბიზნეს ფორუმი

ბიზნეს გაერთიანება GEA-ს პრეზიდენტი ელგუჯა მელაძე 15 ივნისს დაესწრო საქათველო-გერმანიის ბიზნეს ფორუმს, რომელსაც 30 ქართული და 100-მდე გერმანული კომპანია ესწრებოდა.

ბიზნეს ფორუმი გახსნა საქართველოს პრემიერ მინისტრამ გიორგი კვირიკაშვილმა. . პრემიერმა ისაუბრა ვარშავის სამიტზე, დემოკრატიულ პროცესებზე, მოახლოებულ არჩევნებზე და ვიზალიბერალიზაციაზე.

ვორქშოპი - ერთიანი ბიზნეს სივრცის შექმნა

15 ივნისს ბიზნეს გაერთიანება GEA-ს და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ორგანიზებით გაიმართა სემინარი მცირე და საშუალო მეწარმეებთან ერთიანი ბიზნეს-სივრცის შექმნის შესახებ.

სამუშაო ჯგუფის შეხვედრას უძღვებოდნენ ეკონომიკის მინისტრის მრჩეველი არჩილ ბუკია და მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარე ირაკლი გვენეტაძე. სემინარს, ასევე, ესწრებოდა მუდმივი საერთაშორისო მრჩეველი ივერ ტალო.

ვორქშოპის მიზანს წარმოადგენდა იმ ხალხის გამოცდილების გაზიარება, რომელთაც უშუალო შეხება აქვთ ბიზნესთან - იწყებენ, ან უკვე ახორციელებენ მას და საქმიანობიდან გამომდინარე იყენებენ საჯარო მმართველობასთან კომუნიკაციის სხვადასხვა გზებს.

ვორქშოპის ძირითადი თემა იყო - ბიუროკრატიული პრობლემები. კერძოდ, ბიზნეს სექტორისაგან სამინისტროს წარმომადგენლებმა მოისმინეს იმ ზედმეტი და გადაჭარბებული ბიუროკრატიული პრობლემების შესახებ, რომელიც ბევრ დროის რესურსს ართმევს მცირე და საშუალო მეწარმეებს (მაგალითად, მოთხოვნილი საბუთების ზედმეტი სირთულე და სხვ.). აღნიშნულ ვორქშოპზე მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად განხორციელდება რეფორმები, რომლებიც გააუმჯობესებს საჯარო სტრუქტურებთან ბიზნესის კომუნიკაციის საშუალებებსა და მომსახურების პროცედურებს.

ბიზნეს გაერთიანება GEA სისტემატურად არის ჩართული ისეთ პროექტებში, რომლებიც ემსახურება ბიზნესის წარმოების გამარტივებასა და სამთავრობო სტრუქტურებთან კომუნიკაციის გზების გაუმჯობესებას.

AIR-SUN GEORGIA

14 ივნისს ბიზნეს გაერთიანება GEA-ს საკონფერენციო დარბაზში კომპანია AIR SUN-მა გამართა პროდუქტის პრეზენტაცია, რომელიც გულისხმობს ელექტრო ენერგიის წარმოებას განახლებადი რესურსებიდან.

პრეზენტაციას უძღვებოდა კომპანია AIR SUN-ის პრეზიდენტი ლეონიდან კონტოსი. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ ინვესტორები ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან.

GEA-ს ტრენინგ ცენტრი

ბიზნეს გაერთიანება GEA-ს მიერ ორგანიზებული ტრენინგების მიმართ გაზრდილი ინტერესიდან გამომდინარე, დაიწყო მხოლოდ ტრენინგების (სემინარების, კურსების) მიმართულებაზე ორიენტირებული ცენტრის ფუნქციონირება.

მალე GEA-ს ტრენინგ ცენტრი შემოგთავაზებთ საინტერესო ტრენინგების შესახებ, რომლებსაც გაუძღვებიან ქართველი და უცხოელი ტრენერები.

GEA Training Center

ბრიფინგი - ეკონომიკური ფორუმის შეფასება

21 ივნისს ბიზნეს გართიანება „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის“ (GEA) პრეზიდენტმა ელგუჯა მელაძემ და საქართველოს ბანკების ასოციაციის პრეზიდენტმა ზურაბ გვასალიამ გამართეს ბრიფინგი, რომელიც მიზნად ისახავდა 20 ივნისს გამართული ეკონომიკური ფორუმის შეფასებას.

განხცადებებში აღინიშნა, რომ ფორუმზე განიხილეს ის მიღწევები და პრობლემური საკითხები, რომლებიც არსებობს ბიზნეს გარემოში. უმთავრეს მიღწევებად დასახელდა ის ფაქტები, რომ მოხსნილია ბიზნესზე ზეწოლა, ტარდება მნიშვნელოვანი საერთაშორისო კვლევები, რომლებსაც ბიზნესმენები ითვალისწინებენ საქმიანობის დაგეგმვისას, სახელმწიფო პროგრამები ბიზნესის ხელშეწყობის მიმართულებით, საარჩევნო წელიწადის მიუხედავად, ბიზნეს გარემოს სტაბილურობის შენარჩუნება.

პრობლემებს შორის ფორუმზე ბანკების ასოციაციისა და საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის მხრიდან განიხილეს ისეთი საკითხები, როგორებიცაა ბიზნეს დავების განხილვის შენელებული პროცედურები, სავალუტო კურსის არასტაბილურობა და სხვ.

ბიზნეს გაერთიანება GEA სისტემატურად აწყობს შეხვედრებს წევრ კომპანიებსა და სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლებს შორის, რომლებზეც განიხილება პრობლემატური საკითხები სამინისტროებისა და სხვა საჯარო უწყებების დონეზე.

NIGHT FIGHT CLUB - მემორანდუმი

22 ივნისს ბიზნეს გაერთიანება GEA-ს საკონფერენციო დარბაზში ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს პრომოუტერულ კომპანია Fight Night Georgia-სა და პარტნიორებს შორის.

მემორანდუმს, რომელიც ითვალისწინებს ღონისძიებების ჩატარებას ურთიერთმხარდაჭერის ფონზე, ორმხრივ თანამშრომლობასა და შეთანხმებული პირობების ვადებში განხორციელებას, ხელი მოაწერეს ერთი მხრივ Fight Night Georgia-მ, ხოლო მეორე მხრივ ბიზნეს გაერთიანება "საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციამ", მედიაჰოლდინგმა „კომერსანტი", ჟურნალმა OK და Cavea-მ.

ცერემონია გახსნა კომპანია fight nights Georgia–ს პრეზიდენტმა, ბატონმა ზურაბ ბოლოქიშვილმა, რომელმაც ხაზი გაუსვა, რომ სპორტს არ შეუძლია დამოუკიდებელი პროდუქტის შექმნა მედიის დახმარების გარეშე და ივარაუდა, რომ სპორტი საქართველოში მალე გახდება ბიზნესი, რომელიც ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას გააუმჯობესებს.

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა ლაშა ლაბაძემ აღნიშნა, რომ მსგავსი ტიპის თანამშრომლობა მნიშვნელოვანია როგორც ბიზნესის თვალსაზრისით, ასევე საზოგადოებრივი ცხოვრების გაჯანსაღების მიმართულებით. ამდენად, ასოციაცია ყოველთვის მზადაა მხარი დაუჭიროს მსგავსი ტიპის აქტივობებს. კომპანია Fight Night Georgia-ს მემორანდუმზე ხელმომწერმა მახარეებმა მადლობა გადაუხადეს მოწვევისა და ნდობისთვის და აღიარეს თანამშრომლობის საერთო ინტერესები.

საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრა სახელმწიფო შემსყიდველი ორგანიზაციების, სამოქალაქო სექტორისა და ბიზნესსაზოგადოების წარმომადგენლებთან

29 ივნისს საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრა სახელმწიფო შემსყიდველი ორგანიზაციების, სამოქალაქო სექტორისა და ბიზნესსაზოგადოების წარმომადგენლებთან.
შეხვედრის ორგანიზატორები იყვნენ ბიზნეს გაერთიანება GEA, USAID და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
STATE PROCUREMENT AGENCY

USAID | GEORGIA
FROM THE AMERICAN PEOPLE

შეხვედრას გახსნა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილემ კახა დემეტრაშვილმა.
შეხვედრაზე განიხილეს შემდეგი თემები:

- სახელმწიფო შესყიდვების სფეროში 2015-2016 წლებში გატარებული რეფორმების მოკლე მიმოხილვა;
- შესყიდვის ახალი საშუალებების მიმოხილვა და მეთოდური მითითებები სახელმწიფო შესყიდვების სფეროში დაგეგმილ ცვლილებებთან დაკავშირებით;
- ახალი ელექტრონული სერვისები.

GEA ASSOCIATION EMPLOYERS GEORGIAN

შეხვედრა დიალოგის რეჟიმში წარიმართა.
ბიზნეს გაერთიანება GEA სისტემატურად არის ჩართული მსგავსი შეხვედრების ორგანიზებაში.

ბიზნეს გაერთიანება GEA

მის.: ბელიაშვილის ქ. #8, თბილისი, საქართველო
ტელ.: +995 32 2 14 73 73
მობ.: +995 579 55 55 51
ელ-ფოსტა: employer@employer.ge
www.facebook.com/GEA
www.linkedIn.com/GeorgianEmployersAssociation
www.twitter.com/GEAassociation